1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 16 (114) 10 ოქტომბერი 1960 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

156. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. მ. მოლოტოვის განთავისუფლების შესახებ.
157. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ი. ხვოროსტუხინის დანიშვნის შესახებ.
158. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირ-ფინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და სასაზღვრო ინციდენტების რეგულირების წესის თაობაზე სსრ კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.
159. შეთანხმება ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის შესახებ.
160. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. კურაშოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
161. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უმცროსი სერჟანტის ი. მ. პილიპის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
162. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი პრეზიდიუმისა ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობ ვ. ვ. თხასაევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
163. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონიის“ მსახიობ გ. კ. ოტსასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
164. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

165. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. ს. პუშკინის სახელობის ლენინგრადის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობ ვ. ვ. მერკურიევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის სამხედრო მოსამსახურეების, მუშებისა და მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. მ. მოლოტოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ვიაჩესლავ მიხეილის ძე **მოლოტოვი** მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 სექტემბერი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ი. ხვოროსტუხინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსი ივანეს ძე **ხვოროსტუხინი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 სექტემბერი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 სსრ კავშირ-ფინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და სასაზღვრო ინციდენტების რეგულირების წესის თაობაზე სსრ კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-ფინეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის თაობაზე და სასაზღვრო

ინციდენტების რეგულირების წესის შესახებ, ხელმოწერილი ჰელსინკში 1960 წლის 23 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

1960
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 სექტემბერი.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

159 ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის შესახებ

შეთანხმების დამდებმა მხარეებმა,

მხედველობაში მიიღეს რა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ცხოველთა ინფექციური და სხვა დაავადებანი ყველა ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის,

იხელმძღვანელეს რა სურვილით, გაფართოვდეს თანამშრომლობა ვეტერინარული მეცნიერებისა და პრაქტიკის დარგში, ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კოორდინაციაში, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის და საგნების, რომლებიც შეიძლება იყვნენ ინფექციის მატარებელნი, ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის წესების ერთად შემუშავებაში, აგრეთვე ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური პრეპარატების და სხვა საშუალებათა წარმოების დარგში,

ემყარებიან რა ეპიზოოტიისაგან ტერიტორიების ურთიერთდაცვის, როგორც ხალხის, ისე ცხოველთა საერთო სენით დაავადების საშიშროების თავიდან აცილების და ქვეყნებს შორის სამეურნეო და სავაჭრო კავშირის განვითარების ინტერესებს,

გადაწყვიტეს რა დადონ ამ მიზნით შეთანხმება, ამით შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე.

მუხლი I

ცხოველთა გადამდები და სხვა მასობრივი ავადმყოფობით დაავადების თავიდან ასაცილებლად და დასაძლევად შეთანხმების დამდები მხარეები განახორციელებენ:

1. ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად და მათ სალოკვიდაციოდ აუცილებელ ღონისძიებათა კოორდინაციას, აუცილებელ შემთხვევებში ერთობლივ ღონისძიებათა მიღებით, კერძოდ სასაზღვრო რაიონებში.

2. ინფორმაციების პერიოდულ, მაგრამ არა ნაკლებ ერთჯერ თვეში, გაცვლას გადამდებ ავადმყოფობათა გავრცელების შესახებ, რომელთა ნუსხა ნაჩვენებია ამ შეთანხმების № 1 დანართში.

3. ერთმანეთის დაუყოვნებლივ ინფორმირებას მათ ტერიტორიაზე ავადმყოფობათა წარმოშობისა და გავრცელების შესახებ ცხოველთა მაღალი დასე-

ნიანებით ან სიკვდილიანობით და ამ ავადმყოფობათა ლიკვიდაციის ღონისძიებების შესახებ (ასეთ ავადმყოფობათა ნუსხა ნაჩვენებია ამ შეთანხმების დანართში).

4. შრატის, ვაქცინების და სხვა ვეტერინარული პრეპარატების წარმოების გეგმების შეთანხმებას და მათზე სახელმწიფო კონტროლის უნიფიკაციას.

5. ტექნიკურ დახმარებას შეთანხმების დამდები ყოველი მხარის თხოვნით ცხოველების დაავადებათა შესწავლაში და ასეთ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭირო შემთხვევაში, სპეციალისტების, აგრეთვე მოწყობილობისა და ვეტერინარული პრეპარატების გაგზავნით.

6. დახმარებას შეთანხმების დამდები ყოველი მხარის მოთხოვნით ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ვაქცინების, შრატის, ანტიბიოტიკების, დიაგნოსტიკური და ფარმაცევტული პრეპარატების და სხვა საშუალებათა წარმოებისა და შეძენის ორგანიზაციაში, აგრეთვე ვეტერინარული ობიექტების მშენებლობის პროექტების შედგენაში.

7. ვეტერინარიის სამეცნიერო ინსტიტუტების თანამშრომლობას ცხოველების ავადმყოფობათა შესწავლის დარგში და განსაკუთრებით ანტროპოზოონოზების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ყველაზე უფრო ეფექტიანი დიაგნოსტიკური მეთოდებისა და ბრძოლის საშუალებების გაუმჯობესებასა და გამოყენებას, აგრეთვე ასაცრელი პრეპარატების სტანდარტიზაციას და მათზე კონტროლს.

მუხლი II

ხელშეკრულების დამდები მხარეები ვეტერინარული საქმის ორგანიზაციისა და ამ დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შედეგების ურთიერთგასაცნობად განახორციელებენ:

1. საკანონმდებლო აქტების, ინსტრუქციების დარიგებების, სპეციალური ლიტერატურის, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მეთოდიკების, ვეტერინარული სასწავლებლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და ვეტერინარიასთან დაკავშირებული სხვა მასალების გაცვლას.

2. ურთიერთშეტყობინებას ვეტერინარიის საკითხებზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კონფერენციებისა და თათბირების და ვეტერინარიის დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადების შესახებ ისე, რომ შეთანხმების დამდებ მხარეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ მათში.

3. ვეტერინარული ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, ვეტერინარული დარგის მეცნიერ და პრაქტიკულ მუშაკთა ურთიერთმიგზავნებას ვეტერინარული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა შესწავლისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მუხლი III

შეთანხმების დამდები მხარეები მიიღებენ ღონისძიებებს ორმხრივ შეთანხმებული დებულების შესამუშავებლად იმ ცხოველთა, ცხოველური წარმო-

შობის პროდუქტებისა და ნედლეულის და საგნების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ, რომლებიც შეიძლება იყვნენ ინფექციის მატარებელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი IV

შეთანხმების დამდები მხარეების ვეტერინარულ სამსახურებს შორის კავშირი ამ შეთანხმებიდან გამომდინარე საკითხებზე განხორციელდება როგორც უშუალოდ, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიური და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის სამუშაო აპარატის საშუალებით.

მუხლი V

ამ შეთანხმების დებულებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები განაწილდება შემდეგნაირად:

1. I მუხლის 2 და 3 პუნქტთან და II მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შეთანხმების დამდები ის მხარე, რომელიც გზავნის ნაჩვენებ პუნქტებში ჩამოთვლილ ცხრბებსა და მასალებს.

2. იმ პირთა მგზავრობისა და შენახვის ხარჯებს, რომლებიც ჩამოთვლილია II მუხლის 2 და 3 პუნქტში, გაიღებს ამ პირთა გამგზავნი შეთანხმების დამდები მხარე.

3. I მუხლის 1, 5 და 6 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯები განაწილდება დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი VI

ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა შეიძლება 1960 წლის 1 ივლისამდე ქალაქ მოსკოვში.

შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას.

სარატიფიკაციო სიგელები შესახანად ჩაბარდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს, რომელიც შეასრულებს შეთანხმების დეპოზიტარიუმის ფუნქციებს.

შეთანხმება ძალაში შევა მეხუთე სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების დღეს, რის შესახებ დეპოზიტარიუმი აცნობებს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

მუხლი VII

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ მას შეუძლია შეუერთდეს ყოველი სახელმწიფო.

ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც შეუერთდება ამ შეთანხმებას, აგრეთვე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც თავიანთ სარატიფიკაციო სიგელებს ჩააბარებენ შესანახად ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, შეთანხმება ძალაში შევა ასეთი სახელმწიფოების მიერ სარატიფიკაციო სიგელების ან შემოერთების დოკუმენტების ჩაბარების დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი VIII

ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის შემდეგ შეთანხმების დამდებ ყველა მხარეს შეუძლია მოახდინოს მისი დენონსირება, წერილობით შეატყობინებს რა ამის შესახებ დეპოზიტარიუმს.

ასეთი მონაწილის მიმართ შეთანხმება ძალას კარგავს დეპოზიტარიუმის მიერ დენონსაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი IX

ეს შეთანხმება შედგენილია რუსულ ენაზე ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად ჩაბარდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნო შეთანხმების დამდებ მხარეებს გაუგზავნის შეთანხმების სათანადო წესით დამოწმებულ პირს, აგრეთვე ინფორმაციას მიაწვდის სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ან შემოუერთდნენ ამ შეთანხმებას, სარატიფიკაციო სიგელების, შემოერთების და დენონსაციის დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ.

დადებულია ქალაქ სოფიაში 1959 წლის 14 დეკემბერს.

რის დასადასტურებლად ქვემორე ხელისმომწერებმა, შესაბამისი მთავრობების სათანადო წესით რწმუნებულებმა, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ა. კელეზი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ი. პრიბოევი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ა. მადიარი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ბ. რეიხელტი

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ლი სონ უნი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ჩ. აგვირამედი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ვ. ტროიანოვსკი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
მ. სტანეუ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
მთავრობის რწმუნებით
ვ. მაცკევიჩი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ლ. შტროუგალი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 25 ივნისს.

შეთანხმება ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის შესახებ ამ შეთანხმების VI მუხლის შესაბამისად ძალაში შევიდა 1960 წლის 12 სექტემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობათა ნუსხა

რომელთა გავრცელების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას პერიოდული ცნობები (ცნობები ეგზავნებათ შეთანხმების დამდები ყველა მხარის სავეტერინარო სამსახურებს და შეიცავენ მონაცემებს დაავადებების მხრივ ცუდი მდგომარეობის მქონე პუნქტების ადგილსამყოფელისა და რაოდენობის შესახებ)

თურქული
ციმბირის წყლული
ცხვრის ყვავილი
ცოფი
ქოთაო
ცხენის ფარიკა
ღორის ჭირი
ქათმის ჭირი
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჭირი
ფილტვების ანთების მოარული სენი
ინფექციური ენცეფალომიელიტი
ცხენის ინფექციური ანემია
ცხენის ინფლუენცა
აუესკის ავადმყოფობა.

შენიშვნა: ყოველ მხარეს შეუძლია დამატებით ჩართოს ცნობები სხვა გადამდებ ავადმყოფობათა შესახებ, რომლებიც ეპიზოოტიურად ვრცელდებიან.

ავადმყოფობათა ნუსხა

რომელთა წარმოშობისა და გავრცელების შესახებ ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ (ცნობები ეგზავნებათ შეთანხმების დამდებ სასაზღვრო მხარეების სავეტერინარო სამსახურებს და შეიცავენ მონაცემებს სასაზღვრო ოლქებში განლაგებული დაავადების მხრივ ცუდი მდგომარეობის მქონე პუნქტების ადგილსამყოფელისა და რაოდენობის შესახებ)

თურქული

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჭირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

160 ამხ. ს. ვ. კურაშოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. სერგი ვლადიმერის ძე **კურაშოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 უმცროსი სერჟანტის ი. მ. პილიპის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ამხანაგის სიცოცხლის გადარჩენის დროს მამაცობისა და სიმარჯვის გამოჩენისათვის უმცროსი სერჟანტი ივანე მათეს ძე **პილიპი** დაჯილდოებულ იქნას მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობ ვ. ვ. თხაპსაევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობს ვლადიმერ ვასილის ძე **თხაპსაევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** სპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

163 ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონიის“ მსახიობ გ. კ. ოტსასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონიის“ მსახიობს გეორგ კაარელის ძე ოტსს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის დროს ოდესის ოლქის ტერიტორიაზე დატოვებული საშიშფეთქებადი საგნების უნებელყოფისა და ადგილმდებარეობის განნაღმის დროს მამაცობისა და სიმარჯვის გამოჩენისათვის დაჯილდოდნენ:

წითელი დროშის ორდენით

1. უფროსი ლეიტენანტი ევგენი პეტრეს ძე ბოკში.
2. უფროსი ლეიტენანტი ანანია ნიკიტას ძე ტალკო.

მედლით „მამაცობისათვის“

უმცროსი სერჟანტი ვიქტორ ანდრიას ძე გორბენკო.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

რიგითი ნიკოლოზ ვასილის ძე ფილიპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

165 ა. ს. პუშკინის სახელობის ლენინგრადის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობ ვ. ვ. მერკურიევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვასილ ვასილის ძე **მერკურიევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 ოქტომბერი.

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1960 წლის 11 სექტემბერს უფის—ორჯონიკიძის № 399 საარჩევნო ოლქში შედგა არჩევნები ეროვნებათა საბჭოში ბაშკირეთის ასსრ რესპუბლიკიდან.

დეპუტატად ეროვნებათა საბჭოში უფის—ორჯონიკიძის № 399 საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. ვასილ თევდორეს ძე **გარბუზოვი,** სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სომხეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ სომხეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 475 კაცი, აქედან **ლენინის** ორდენით—34 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით—68, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით—106 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**—267 კაცი.

* * *

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 27 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ესტონეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ ესტონეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 464 კაცი, აქედან **ლენინის** ორდენით—31 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით—63, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით—99 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**—277 კაცი.

* * *

ოსური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის 91 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის მსახიობი ლ. ა. კონდირევი და მწერალი დ. ხ. მამსუროვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია: ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ზ. ე. ბრიტაევა, პოეტი ა. ს. გულუევი; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩრდილოეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი გ. ნ. გურჟიბეკოვი, მწერალი ტ. ი. ჯატიევი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. ე. კაბალოევი; პოეტი გ. ხ. კაიტუკოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სახელმწიფო ცირკთა საკავშირო გაერთიანების მსახიობი—ბ. ტ. კანტემიროვი; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჩრდილოეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი მ. ა. კესაევა (ბიტუევა); რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ვ. ი. მურადელი; მწერალი გ. დ. პლიევი; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ა. ა. პოლიანინჩენკო; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობი ბ. ი. ტოტროვი და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი მ. ნ. ცაგარაევი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 26 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—50 კაცი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის ორმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის ოფიცერთა კადრების მომზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის **თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებელი** დაჯილდოებულ იქნას **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე რ. კოპალიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის სამხედრო მოსამსახურეების, მუშებისა და მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის ორმოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის ოფიცერთა კადრების მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლებისა და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე არტემის ძე **ართაზოვი**—პოლკოვნიკი.
2. ნიკოლოზ ივანეს ძე **ბაშლიაევი**—პოლკოვნიკი.
3. მიხეილ მოსეს ძე **ბელი**—პოდპოლკოვნიკი.
4. ალექსანდრე მიხეილის ძე **ბერიძე**—პოდპოლკოვნიკი.
5. მიხეილ ექვთიმეს ძე **ბრუიაკო**—კაპიტანი.

6. სტეფანე მისაკის ძე **დულგაროვი**—ზევადიანი სამსახურის ზემდეგი.
7. მიხეილ შიოს ძე **ელბაქიძე** — მუშა.
8. პეტრე ცელესტინის ძე **ვერცინსკი**—პოდპოლკოვნიკი.
9. ივანე დოროთეს ძე **ივაშინი** — პოდპოლკოვნიკი.
10. ფეკრეტ ალი-ოღლი **მელიქოვი**—კაპიტანი.
11. სამუელ გრიგოლის ძე **მუშკინი**—პოდპოლკოვნიკი.
12. ნიკოლოზ მაქსიმეს ძე **პეტრენკო**—პოდპოლკოვნიკი.
13. ალექსანდრე ანდრიას ძე **სარქისოვი** — პოლკოვნიკი.
14. კლიმენტი მიხეილის ძე **ფარაძენიძე**—დოცენტი.
15. ვლადიმერ დავითის ძე **ხუბულური**—გენერალ-მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე რ. კოზმახიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა